

საქართველოში ბირთვური და რადიაციური კონტროლის საკითხებზე სწავლება დაინწყო

✘ საქართველოში ბირთვური და რადიაციური კონტროლის საკითხებზე სამხრეთ აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სწავლება „ღმის ფარი“ (LIONSHIELD) გაიხსნა.

ღონისძიებას მასპინძლობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. სწავლების პრაქტიკული ნაწილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ტექნოლოგიური ინოვაციების და სწავლების ცენტრში გაიმართება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მონაწილე სექტორებსა და სახელმწიფოებს შორის რეგიონულ თანამშრომლობას.

მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ შეამოწმონ ბირთვური და რადიაციური მასალების გამოვლენის კუთხით არსებული რესურსები და რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული კოორდინაციის შესაძლებლობები. სწავლებას შეაფასებენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, მათ შორის, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს, ინტერპოლის, ნორვეგიის რადიაციური დაცულობის ორგანიზაციის, საქართველოში აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოსა და აშშ-ის ენერჯეტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

სწავლება ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციური და ბირთვური საფრთხეების შემცირების გამოცდილების გაზიარების ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის პარტნიორობით.